№ 153 ივლისი 16 ოთხშაბათი 1886 ივლისი 16 ოთხშაბათი, № 153

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და ყოველგვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მან.

ტფილისი, 15 ივლისი

1870 წლის დამარცხება საფრანგეთს აქამდე ვერ დაუვიწყნია. ეს ჭრილობა ღრმად დასჩნევია და აქამდინ ვერ გაჰმრთელებია. წართმეული პროვინციები, ელზას-ლოტარინგია, გულიდამ ვერ ამოუღია და დღესაც იმედს არა ჰკარგავს საფრანგეთი, რომ თავის ძალად მოშორებულ ქვეყნებს ისევ უკან დაიბრუნებს. ხუთმეტი წელიწადია, რაც ნემეცებმა ეს პროვინციები წაართვეს, ხუთმეტი წელიწადია, რაც საფრანგეთს ეს უბედურება თავს დაატყდა. დღესაც საფრანგეთს გული ვერ მოუბრუნებია, დღესაც საფრანგეთის შვილს ის იმედი ასულდგმულებს, რომ ადრე თუ გვიან ნემეცებს სამაგიეროს გადუხდიან და ჯავრს უთუოდ ამოიყრიან.

მხოლოდ საჭიროა აღმოჩნდეს იმისთანა კაცი, რომელმაც განთვითვეულებული ძალა ერისა შეაერთოს, მისი გრძნობა განაცხოველოს და გაიტაცოს. ამისთანა კაცი დღეს თითქმის აღმოჩნდა. ეს კაცი დღეს მთელ ევროპის ყურადღებას იპყრობს. თვით საფრანგეთში სახელი მოუპოვებია ამ კაცსა და აღტაცებული ერი თითქო მისგან მოელოდება დიდ რასმეს, ისე შეჰხარის. ეს კაცი გენერალი ბულანჟეა.

დღესვე ბევრი უტყუარი ნიშანი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ბულანჟეს ამ ცოტა ხანში დიდი სახელი მოეღლის. ბულანჟეს კარგად შეუსწავლია საფრანგეთის ერის ხასიათი. საქვეყნო ასპარეზზე თავი იჩინა თუ არა, ბულანჟე მაშინვე იმას ეცადა, რომ ხალხის ნდობა და სიყვარული მოეპოვებია, და ორ თვეს არ გაუვლია, რაც ბულანჟემ თავისი რიხი და ფხა გამოიჩინა, და ეხლა ამისი სახელი ყველას პირზე აკერია, ბულანჟე ხალხის საყვარელი კაცი შეიქმნა. ერთბაშად ისე ამაღლდა ბულანჟე ხალხის თვალში, რომ საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი და თვით პრეზიდენტი გრევიც სრულიად ჩრდილში მიაყენა. 14 ივლისს საერო დღესასწაულობის დროს ხალხს არავისთვის ყური არ უთხოვებია. მხოლოდ ბულანჟეს სახელი გაისმოდა ყველგან. ესე იგი «გაუმარჯოს ბულანჟეს! გაუმარჯოს რესპუბლიკასაო!»

კარგა ხანია ასეთი პატივი და დიდება თვით საუკეთესო საფრანგეთის კაცებსაც არ უნახავთ. კარგა ხანია ასეთი ამბავი არა ყოფილა პარიჟის ქუჩებზე, რაც ამ დღეებში მოხდა.—ტონკინიდამ დაბრუნებული ჯარი სადილად იყო მიწვეული სამხედრო კლუბში. სამხედრო მინისტრი ბულანჟეც აქ დაესწრო. კლუბის წინ დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა და მოუთმენლად ელოდა ბულანჟეს გამოსვლას. გამოვიდა თუ არა ბულანჟე კლუბიდამ, ხალხი აღტაცებით მიესალმა, ხელში აიტაცა და რამდენიმე ხანი ქუჩა-ქუჩა ასეთის ამბით და პატივით ატარა. ბოლოს როგორც იყო ბულანჟემ თავი დააღწია აღტაცებულს ხალხს, ფიაკრში ჩაჯდა და შინისკენ წავიდა.

მეორე დღეს მინისტრს უფრო დიდი პატივი მოელოდა. ბულანჟე უნდა სამინისტროში დასწრებიყო. სამინისტროს სასახლეს წინ დილითვე უთვალავი ხალხი შეიკრიბა. გამოჩნდა თუ არა ბულანჟე, ხალხმა მოწიწებით ქუდი მოიხადა და ერთ-ხმივ შესძახა: „გაუმარჯოს ბულანჟეს! გაუმარჯოს სამხედრო მინისტრსა“-ო!

ბულანჟესთვის ბევრი ღირსება ურგუნებია ბედს წილად. ამითი ჰხიბლავს ხალხს, ამითი იზიდავს მის გულსა. მჭევრ-მეტყველი, კარგი მოლაპარაკე ბულანჟე ძალაუნებურად იპყრობს მსმენელების ყურადღებასა პარლამენტში. და როგორც გამბედავი, მამაცი, უშიშარი გენერალი დიდს სიყვარულს და ნდობას იძენს ჯარში. ამასთან მოხერხებული, გამჭრიახი პოლიტიკიცა ყოფილა. სულ პირველად იმას ეცადა, რომ ჯარი თავისკენ მოემხრო. ყველა ძველი, დამსახურებული გენერლები დაითხოვა და ჯარი სულ ახალ კვალობაზე მოაწყო. როდესაც აფიცრებს მიესალმება ხოლმე, ეხვევა და ჰკოცნის. როდესაც ჯარის კაცებს საჩუქრებს ურიგებდა, ჯერ გადაეხვეოდა, დაჰკოცნიდა და მერე ამოღებულის ხმლით ოდნავ მხრებზე სცემდა. ეს ხმლით დალოცვა ძველი ჩვეულებაა ხელ-ახლად მისგან შემოღებული.

ყველა ეს წვრილმანობაა, მაგრამ ვინც საფრანგეთის ხალხის ხასიათი იცის, ის მიჰხვდება, რომ ამ წვრილმანობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაზე უკეთ ბულანჟეს სცოდნია და ამიტომ საფრანგეთის ჯარს ბულანჟე ეხლა ღმერთადა ჰყავთ გარდაქცეული.

ეჭვი არ არის, ბულანჟეს ბევრი საქციელი თეატრს, სცენას მოგვაგონებს. ბევრჯელ გენერალი განგებ კამედიას თამაშობს, განგებ თვალებს უხვევს ხალხს, არაფერს საშუალებას არ ერიდება, ოღონდ კი სახელი მოიპოვოს. მაგრამ ეს სენი ბევრსა სჭირს, ვისაც დიდების მოხვეჭა ჰსურს; ასე მოქცეულა ბევრი, როდესაც ერის მეთაურობა და ქვეყანაში პირველ-კაცობა განუზრახავს. პაპი პი VII-მ სთქვა თურმე ნაპოლეონთან ლაპარაკის შემდეგ: „Commediant, tragediant!“—კომედიანტია, ტრაგიკოსიო!.. რა არის საკვირველი, რომ ბულანჟეც, თუ გინდ განგებ, ასე სჩადიოდეს!

რა სწადიან ბულანჟეს? სადამდინ მივა და სად შესდგება? საფრანგეთს უწინამძღვრებს და მეთაურობას აღმოუჩენს, თუ თავის თავ-მოყვარეობას გაჰყვება და საფრანგეთში ბრძანებლობას მოინდომებს?—ამის პასუხს ეხლა ვერ ვიტყვით და იმაში კი ეჭვი არ არის, რომ საფრანგეთი რაღაც მოძრაობაშია, და ბულანჟეც ჩქარა თავს იჩენს.

შორს-მჭვრეტელი და ქურ-მახვილი ბისმარკი, რომელიც საფრანგეთს თვალს არ აშორებს და რომელსაც არა გამოეპარება-რა, ტყუილად კი არ ამბობდა პარლამენტში: „ფხიზლად იყავით, თვალს ნუ დაჰხუჭავთო! საფრანგეთი ემზადება, და თუ საფრანგეთმა დროშა გაშალა, ევროპას 1789 წელზე უარეს დღეს დაანახვებსო!“

ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 14 ივლისს სამხედრო მინისტრი ვანნოვსკი დილის 7½ საათზედ ამიერ-კავკასიის რკინის გზით წაბრძანდა ბორჟომში და იქიდგან აბასთუმანში აპირებს წასვლას.

⁂ კვირას, 13 ივნისს პეტერბურგიდგან დაბრუნდა ტფილისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი გროსმანი.

⁂ დუშეთის მაზრიდამ, არაგვის მარცხენა მხრიდამ სჩივიან საქონელს თურქული აქვს და ამან ძალიან შეაწუხა მცხოვრებლებიო.

⁂ თელეთშიაც საქონლის ჭირი გაჩენილა და ძალიან შეუწუხებია ხალხი მით უფრო, რომ ამ ჟამად არის მათი მუშაობა, ცალ მხრივ მოსავალს უნდა მოელა და მეორეს

ფელეტონი

მიურიდობა და მიურიდობის დამაარსებელი მანსურ.

დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, რა იყო მიურიდობა დაღესტანში და ვინ იყო მისი დამაარსებელი მანსურ, მაგრამ სამწუხაროდ მისი ცხოვრება ნათლად არ არის ჯერ-ჯერობით გამორკვეული. ამ გამოცანა კაცის ცხოვრებიდამ მოგვყავს მოკლე ცნობანი; გაცნობა მანსურის ცხოვრებისა გაგვაგებინებს, რა იყო მიურიდობა და რა ჰქონდა საგნად ამ უცნაურს პოლიტიკურ-რელიგიურს სწავლასა.

ამ ბოლოს დრომდის არავინ იცოდა გვარ-ტომობა და ჩამომავლობა მანსურისა. იცოდნენ მხოლოდ, რომ იგი მე-XVIII საუკუნის გასულს მეთაურობდა მთელს სალეკოში და იბრძოდა ქრისტიანეთა წინააღმდეგ. ვინ იყო, სად დაიბადა, სად, ან როდის მიანება თავი სამხედრო ასპარეზს,—ყოველსავე ამის ახსნასა და გამოცნობას ბევრს დროს ანდომებდნენ საზოგადოდ აღმოსავლეთის და კერძოდ კავკასიის ახალის ისტორიის შემსწავლელნი, მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო იყო, რადგან მანსურის ვინაობა და ამბავი სიბნელით იყო მოცული. მხოლოდ რამდენიმე წელიწადია მას შემდეგ, რაც მანსურის შესახებ ტურინის უნივერსიტეტის პროფესორმა ოტტინომ ამავე უნივერსიტეტის ძველთა ნივთთა და ხელ-ნაწერთა საცავში ჰპოვა წერილნი და მატიანენი მანსურის ვინაობისა და თავ-გადასავალის თაობაზედ. თუმცა ოტტინოს ცნობანი ვრცლად მოგვითხრობენ მთელს ცხოვრებას მანსურისას, მაგრამ ზოგიერთნი მაინც ეჭვის თვალით უყურებენ ამ ცნობებს და მანსურის ვინაობა მაინც ისევ გამოსაცნობ და გამოსაკვლევ საგნად მიაჩნიათ (Русск. Мысль. Іюль 1884 г.).

⁂

1786 წელს, ოქტომბერში, როგორც სჩანს ოტტინოს ცნობებიდამ, ერთს მანსურის თანა-მოაზრე ევროპიელს მოუპარავს პირველის ყუთი,—სავსე ქაღალდებით, წერილებითა და ძვირფასის ნივთებითა. წასულა სტამბოლს და იქ ყოველივე ეს მიუყიდნია სარდინიის მეფის ვიქტორ ამედე III-ის ელჩისათვის. საკუთარის ხელით დაწერილნი წერილნი მანსურისა თურმე ეხლაც დაცული აქვს იმის შვილის-შვილსა მონფერატ'შიო. უმეტესი ნაწილი ამ წერილებისა თურმე ასრეა ხელ-მოწერილნი: წინასწარ-მეტყველი მანსურიო.

შეიხ მანსურ ყოფილა იტალიელი, მონფერატის მკვიდრი მცხოვრებელი. სახელად ჰრქმევია ჯიოვანი ბატისტა ბოეტტი. მის მამას, მონფერატის ნოტარიუსს, 15 წლის ჯიოვანი სამკურნალო მეცნიერების სასწავლებლად მიუბარებია, მაგრამ იმას მკურნალობისათვის გული ვერ დაუდვია, გაქცეულა მილანში და ლაშკარში ჯარის-კაცად ჩაწერილა. მაგრამ ორის თვის შემდეგ აქედგანაც გაქცეულა ბოჰემიაში, საცა თავს ათასი უბედურება დასტეხია და მერმე დაბრუნებულა რომში და შემოსილა მონოზნად დომინიკანის მონასტერში.

აქ იმან დაიწყო შესწავლა რეფორმატორების ცხოვრებისა, მეტადრე სავანაროლასი და აღეძრა სურვილი, რომ თვითონაც რაიმე მოეხდინა და სახელ-განთქმული შექმნილიყო. თავის გამოსაჩენ ადგილად მან ამოირჩია აღმოსავლეთის ზღაპრული ქვეყნები. ეცადა და ხუთი წლის შემდეგ დანიშნულ იქმნა მისიონერად მოსულში, ანუ ძველ ნინევიაში. გზათ მიმავლობისას მას გადახდა მრავალი უბედურება: ვენეციაში მისი ქადაგება არ მოეწონათ, ამიტომ საპყრობილეში შეამწყვდიეს და რამდენისამე ხნის შემდეგ დიდის შერცხვენით გააგდეს ქალაქიდგან; ჯიოვანი კიპრის კუნძულზედაც დაამწყვდიეს საპყრობილეში, რადგან მაჰმადი ცუდად მოიხსენია. რაღაც მანქანებით აქედგანაც თავი დაიხსნა და ალეპპოში გაიქცა. აქ აღტაცებულმა ქადაგებამ შემოახვია მას მრავალნი მსმენელნი. მალე დიდად გაითქვა მისი სახელი. ეს არ მოეწონათ ფრანცისკანის დასის მამებს. შურიანი ბერები აბეზღებენ მანსურს და ჩვენი ჯიოვანი ბოეტტი უმაღლესის მთავრობის ბრძანებისამებრ იდევნება მონასტრიდამ. ჯიოვანი ისევ უადგილოდ რჩება და დახეტიალობს.

უსაქმურად ხეტიალის დროს მან კარგა შეისწავლა მაჰმადიანთა ერის სულიერი მიდრეკილებანი. იგი მიხვდა, რომ მაჰმადიანთა აღელვება და დამორჩილება სახელითა მაჰმადისათა ძნელი არ არის, საჭიროა მხოლოდ გამოვაცხადო თავი ჩემი მაჰმადის მოციქულად, რომ გავხდე უფროსად ფანატიკოსთა გუნდისაო. აი ეს ფიქრი ღრმად დაემარხა გულში და მის განსახორციელებლად ყოველი ღონისძიება იხმარა: წავიდა სტამბოლს, ტრაპიზონს, არზრუმს, ყარსს, ახალციხეს, ფოთს, ტფილისს, შეისწავლა მდებარეობა ქვეყნისა, ციხე-ქალაქებისა და გადიღო მათი გეგმანი. მერმე დაღისტანს წავიდა, მიმოიმგზავრა, დაათვალიერა ყოველივე, შეისწავლა, იქიდგან წავიდა სპარსეთს, ბაღდადს, საცა სულ მთლად გაიზეპირა ყურანი. მისდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ აქ იგი სცნეს ჯაშუშად და შებორკილი გაგზავნეს სტამბოლს. სარდინიის ელჩმა გაანთავისუფლებინა საპყრობილიდგან. ოსმალთა პოლიცია ჰგრძნობდა, რომ იგი საშიში კაცი იყო და თვალ-ყურს ადევნებდა. მაგრამ ჯიოვანმა ხერხი იხმარა, სომხურად ჩაიცვა და სმირნიდამ ევროპაში გაიქცა. ევროპაში გაქცევით მისი წინად-განზრახული და შედგენილი პლანი არ ჩაიშალა, არამედ ჯიოვანი უფრო ბეჯითად და მხნედ შეუდგა ამ პლანების შესრულებას. ევროპაში ყველგან სინჯავდა სათოფ-ხანასა, თოფ-ზარბაზნების ჩამოსასხმელ ქარხანებსა, ყველგან ხელ-შეკრულობასა სდებდა, თოფ-იარაღი და ტყვია-წამალიც ამა-და-ამ ადგილს მომიტანეთო და მრავალს სხვა ამისთანა საქმეებში იყო გაბმული.

მხრივ საზამთროსა და ნესვის ქირაზე დადიან აქაურებიო.

*** თელეთშივე აგერ ორი წელიწადია ერთი კაცი შეხიზნულა ეკლესიასთანა და დღე-და-ღამეს სულ წყევლაში ატარებსო. ეს კაცი კახელი გლეხიაო. მინდორზე ყოფილა ცოლ-შვილით. სახლი გაუტეხნიათ ვიღასაც და თოთხმეტი თუმანი გაუტანიათ. ვითომ ამის მიზეზით მოსულიყოს თელეთში და ეკკლესიას აღარა შორდებოდეს. მლოცველნი უწყალობებენ თითო-ორ ორს შაურს და იმითი იკვებავს თავსაო. თუ რასმე ჰკითხავენ, რატომ შენს სოფელში არ მიდიხარო. პასუხად იმას ამბობს, რომ ვიდრე ჩემის ფულის მომპარავს რამე არ დაემართება, მანამ აქედგან ფეხსაც არ მოვიცვლიო. მარხულობს თურმე მთელი დღე, ამას წინადაც 8 დღე უმარხულნია. ამის გამო ცოტა ატაცებულიაო და გიჟივით დარბის მთელს სოფელშიო. წარსულს კვირას სოფლელებს უცემიათ, რატომ არა მუშაობო, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა. ხმა დადის, რომ ლამაზი ცოლი ჰყვანდა, გაექცა და ამან უფრო მიაღწევინა მაგ დღემდეო.

*** გაზ. „ახ. მიმოხ."-ის სიტყვით, 13 ივლისს, კვირას პოლიციის მე-6 ნაწილში თურმე სავსე ფურგონმა გაიარა. პოლიციის მოხელეს რიღასთვისაც დაუყენებია და რაღაცა უკითხავს. პოლიციის მოხელის დანახვისათანავე შიგ მჯდომნი სპარსელნი გადმომხტარან ფურგონიდამ და სადღაც გაქცეულან. პოლიციის მოხელეს რომ უნახავს, უპატრონოდ დასტოვეს ფურგონიო, პოლიციაში წაუყვანია, იქ გაუსინჯავთ და ფურგონში 70 ფუთი ჩაი და კიდევ სხვა საქონელი ყოფილა კონტრაბანდით შემოტანილი. მას შემდეგ თურმე აღარა სჩანან საქონლის პატრონები და თავის საკუთრებას აღარა თხოულობენო.

*** დღეს, საღამოს 8 საათზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დანიშნული აქვს არა-ჩვეულებრივი კრება და დანიშნულია თვით ქალაქის თავის მიერ. ლაპარაკი იქნება იმის თაობაზედ, რომ სთხოვონ მთავრობას იმ მაშინების საბაჟო გადასახდელი, რომელნიც ბელგიიდგან არის დაბარებული, დრო-გამოშვებით გამოერთვას ქალაქსაო.

*** გაზ. „Моск. вѣд."-ის სიტყვით, რამდენიმე პირთ საზოგადოება შეუდგენიათ და განზრახვა აქვსთ, რომ ამიერ-კავკასიაში ჰარხლის პლანტაციები და შაქრის ქარხნები გამართონო. საზოგადოებას პროექტი უკვე შეუდგენია და მთავრობისათვის წარუდგენია ნების ასაღებად.

*** ქიათურის ქვა-ნახშირი, კარგის გზების უქონლობის გამო, იმის მაგიერ, რომ ქიათურიდამ პირ-და-პირ ყვირილაში მიიტანონ, გარშემო უვლიან, აულევზე გადადიან და გომის რკინის გზის სადგურში მიაქვთ თურმე ქართველ მეურმეებსაო.

*** გაზ. „Кавказъ"-ის სიტყვით, ახალის თეატრის შენობა თითქმის რომ დამთავრებულიაო. ამ შენობაზე ამ ჟამად თურმე 100-მდე კაცი მუშაობს. ზამთარში მიჰყობენ ხელს კედლების გარედგან გამშვენიერებასაო. ჯერ ეხლავე აკვირვებს კაცს მისი სიდიდეო.

*** გორის მაზრის სოფელ ბისში ერთი გლეხია თურმე, რომელიც სულ ცოტა 106 წლისა იქნება და მაინც აქამდე ჯან-მრთელად არისო, მეხსიერება არ დაჰკარგვია და თვალ-ყური კარგად უჭრისო.

*** აბაშაში ჩასულა ვიღაც ბერძენი და ხელით სატარებელი „პანარამა" ჩაუტანია. მცხოვრებლებს ძალიან მოსწონთ ცქერა, ამის გამო ზედ ეხვევიან და თითქმის ჩხუბი მოუვიდეთო.

*** თქმა არ უნდა, რომ დიდი სარგებლობა მოაქვს ქალაქის ექიმს მრევლოვს და პოლიციის მოხელეთ მით, რომ მკვახე და მავნებელს, შემოუსვლელს ხილეულობას წყალში აყრევინებენ. მაგრამ ვერ მოასწრობენ წყალში გადაყრას, რომ იქვე ღარიბი მობანავეები იჭერენ და სახლში მიაქვთ.

დამაკვირდი!

ვინც ბევრს გპირდება, იმას ნაკლებ უნდა მიენდო. (კონფუცი)

—

ყოველივე ნაცადი საბუთთა საბუთია. (გოგენარგი)

—

მეტად დიდ-სათნოებიანი კაცი უნდა იყოს, რომ სხვისი სათნოება კარგად დააფასოს. (ბუასტი)

—

როს ბულბული ვარდს შესტრფოდეს,
უგალობდეს, შეჰხაროდეს,—
მაშინ ყვავს რად არ სცხვენის,
რომ მათ შორის სამზღვრად დასჯდეს.
(თ. გრ. ორბელიანი)

—

კაცმა ჰრქვა: თქმულა ბრძენთაგან,—
საწუთრო კაცს არ ინდობსო,
ნუ მაინდომებ სამოყვროდ
არც გიძმობს—არცა გიდობსო;
სიტყვით ანგელოზს ემსგავსის,
გულით კი ეშმაკ-ფლიდობსო,
თავს მოაჩვენებს სიწმინდით,
ძალივით არა-წმინდობსო.
(თ. დიმ. გურამიშვილი)

—

არ უკიჟინო, სატრფოო,
შენსა მგოსანსა გულის-თქმა!..
მოკვდავსა ენას არ ძალ-უძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!..
(თ. ნ. ბარათაშვილი)

აბრო გელაძის მკვლელობა ვერაზედ

აი დაწვრილებით ამბავი აბრო გელაძის მკვლელობისა. აბრო გელაძე ავჭალელი ყოფილა. ყმაწვილობაში ყასაბისთვის მიუბარებიათ შეგირდად. აქ სისხლისა და საქონლის ხოცვის ცქერაში იზრდებოდა და მოდიოდა თურმე ჯანსა და ღონეზე ახალგაზდა აბრო გელაძე, რომელიც ბოლოს მეტად დარდიმანდი, მოქეიფე და მოლხინე თურმე შეიქმნა. აბრო გელაძე მერე თავათ თურმე ჰხოცავდა საქონელს. ათ გირვანქიანისა და 15 გირვანქიანის საწონის დარტყმით თავში არეტიანებდა ჯერ საქონელს და მერე ისე ჰხოცდა. ამ ბოლოს დროს აბროს სამიკიტნო დუქანი ჰქონდა გამართული ვერაზედ, წყნეთის ქუჩის პირში. მისი დუქანი მუდამ სავსე იყო მოქეიფე ქალაქის ბიჭებით, მენახშირეებითა და აბროც თავის მუშტარს აჰყვებოდა ხოლმე ქეიფში და იმ გვარად იქცეოდა, რომ თითქმის ყველას გული ჰქონდა მოგებული. ეს კი სჭირდა თურმე ხელღონიერს აბრო გელაძეს, რომ, თუ ვინმე დაუშავებდა რასმე, თავის ძალითვე გაემკლავებოდა და დასჯიდა ხოლმეო.

აბრო გელაძეს ამას წინად დაჰბრალებია თურმე მეტად საზიზღარი საქმე რომანოზ თუხარელის მკვლელობისაო. ეს რომანოზ თუხარელი ასო-ასო აკაპილი იპოვეს ქვიშაში ჩაფლული. არავინ იცის, ვინ გამოდგა ნამდვილი მკვლელი რომანოზ თუხარელისა, მაგრამ რადგან ეჭვი სამართალმა აბრო გელაძეზე აილო, რვა თთვე ციხეში ჯდომა გადაუწყვიტეს. აბრო გელაძე მესამე პირს ცოლშვილს მოჰკიდებია ამ ბოლოს დროს. თავისი სავაჭრო საქმეები კარგად წაუყვანია და, თუმცა ქეიფში და დროს გატარებაში ფული არ უზოგნია, მაინც თავისთვის კარგად ყოფილა. სამის თუ ორის დღის წინად, ვიდრე მკვლელობა მოხდებოდა, თავ-განწირულებით თურმე ქეიფობდა, თითქო ეს უკანასკნელი ქეიფია და ეუბნებოდა ნაცნობებს, დალიეთ, იმხიარულეთ, იქნება ხვალ და ზეგ ვეღარც კი ენახოთ ერთმანერთიო. მეორე-მესამე დღეს წარსულს სამშაბათს 8 ივლისს გელაძეს სახლობა გორს გაუგზავნია და უთქვამს, რომ მეც ხვალ ან დილით ან საღამოთი ამოვალ ღვინოების სასყიდლადაო. დილითვე დაუწყვია აბროს ღვინის სმა, როცა ცოლშვილთან ერთად სიმამრი გაუგზავნია გორს. ვაგზალზედაც უსვამს ნაცნობ მებუფეტესთან, მერე ნაცნობი და ძმა ბიჭები შეხვედრიან გზაში და იქ კიდევ უსვამს; დუქანში რომ დაბრუნებულა, მთელი დასი მოქეიფე ამფსონებისა უნახავს და უთქვამს რომ, თუმცა ნასადილევი ვარ, მაგრამ თქვენის ხათრისთვის მოგიამხანაგდებითო და დაიწყო თურმე სმა. ეს სმა სამშაბათს გაგრძელდა საღამოს 10 საათამისე დის, რომ აბრო გელაძეს ღვინო მორევოდა და სახლში დაეპირებინა წასვლა. ამ დროს მივიდნენ თურმე დუქანში საბურთალოზე დაბანაკებული არტილერიის ჯარის ეკონომი, მოხუცებული ფელდ-ფებელი და მასთან უფროსი უნტერ-აფიცერი ერთის სალდათითა. ამათ მოითხოვეს ღვინო და დაიწყეს სმა. ერთი ჭიქა გელაძესაც მიაწოდეს თურმე. გელაძემ სამაგიეროდ მუშტარს ერთი ჩარექი ღვინო ჩამოუსხა. გაათავეს სალდათებმა სმა და თითქმის ღამის 12 საათი შეიქნა. სალდათები წავიდნენ ტორტმანით და ერთმა მათგანმა თან წაიღო ორი ბოთლი ღვინო, თითო ათ-შაურიანი. აბრომაც ყველაფერი განკარგულება მოახდინა დუქანში თუ რუმბებისა და თუ ფულის თაობაზედ, უკეთუ ან ერთი, ან მეორე დამჭირდება, გორში გამომიგზავნეთო. ჩაიდო ჯიბეში თერთმეტი თუმანი ფული და გასწია სახლისაკენ, რომელიც თურმე იქა ჰქონდა, სადაც კონკა დგება ვერაზე. გზაში ისევ იმავ სალდათებს შეხვდა. დაიწყეს აქ კიდევ სმა ღვინისა. ამ ღვინის ფული გელაძემ თურმე გადაიხადა. აქვე იყიდეს ნახევარი თუნგი ღვინო და წავიდნენ ჯვარ ზემოდამ გორაზე, სადაც დაიწყეს კიდევ სმა. ღვინო რომ გამოელიათ, აბრომ გამოართვა ფელდ-ფებელს თავისი დავთარი და ჩასწერა თავის დახლიდარის სახელობაზე, ღვინო გამოგზავნეთო. უფროს უნტერ-აფიცერს გამოურთმევია ფელდ-ფებელისათვის ხმალი, ჩამოუკიდნია და წასულა დუქანში ღვინისათვის, მაგრამ დახლიდარს ღვინო აღარ მიუცია. აბრო ძლიერ ნასვამია და აღარ უნდაო, უთქვამს ნამძინარევს დახლიდარს. ვიდრე ეს უნტერ-აფიცერი დაბრუნდებოდა, მოხუცს ფელდ-ფებელსა და გელაძეს ჩასძინებიათ. ამ დროს სალდათს ჩაუპარებია ხელი აბროს ახალუხის ჯიბეში და ფულის ამოცლა განუზრახავს. აბროს გაუგია ესა და დაუწყვია ცემა სალდათისათვის. ხმლიანი უნ-

---

სხვათა შორის ჯიოვანი ყოფილა პეტერბურგშიაც, თითქმის 3 თთვე დაუყვია იქ და პოტემკინისათვის წარუდგენია საკუთარი პლანი სტამბოლის ასაღებად. პოტემკინს უარი უყვია მისი პლანი. მაშინ ჯიოვანი დაბრუნებულა მცირე აზიაში და მოუკიდნია ხელი თავის სანუკარ წადილის აღსრულებისათვის. ყოველ გვარი შემწეობა მისთვის მიუცია სკუტარიელ ვაჭარს თაზეთ-ხაზიბს, სომეხს. თანაშემწედ და თანა მოაზრედ ჰყოლია სამი ევროპიელი: ფრანციელი კლეო გევენო, ნეაპოლიტანელი კამილლო რუტიგლიანო და ურია სამუელ გელდენბერგი.

1785 წელსაო, ანუ ცოტა ადრე, თუ გვიან, მაჰმადიანთა დღესასწაულ რამაზანის დღეს ქურთისტანის ქალაქ ამადიაში გამოცხადდა ახალი წინასწარმეტყველი. იგი სრულიად თეთრს სამოსელში იყო შემოსილი, თავზედ ეხურა მწვანე ყაუხი (чалма). თავის დიდებულის, სახით თვალ-ტანადობით, ალტაცებულის ქადაგებით და ღვთისნიერის ცხოვრებით სწრაფად მიიქცია მან ყურადღება მთელის საზოგადოებისა და ასე გასინჯეთ იქაურის შეიხისაც-კი. ყველაზე ადრე გამოდიოდა თურმე მანსური მეჩეთის წინ სალოცავად, მექქისაკენ პირ-მიქცეული დაიჩოქებდა და ხმა მაღლა ღაღადებდა ლოცვებსა ალლახისადმი, რათა მას შეენდო შეცოდებანი ცოდვილთა, დამკარგველთა და ღამეიწყებელთა წინასწარმეტყველის სწავლისაო. ერთხელ შეიხმა ჰკითხა თურმე:

— ვინა ხარ რომ აგრე ლოცულობ ცოდვილთათვის?..

„მე ვარ მოციქული მაჰმადისაო, უპასუხა თურმე მანსურმა—წინასწარმეტყველი ჰხედავს, რომ მაჰმადიანთა დაივიწყეს სჯული, რომელიც მან განგვიწესა წმიდა წიგნით ყურანითაო. იმან გამომგზავნა მე, რათა გამოუცხადო ძეთა ისლამისათა (მაჰმადიანთ), რომ საშინელი ტანჯვანი მოელით, თუ არ შეინანებენ და ისევ არ მოიქცევიან ჭეშმარიტ გზაზედაო."

— საიდანა ხარ, ან ვინა ხარ, კვლავ ჰკითხა თურმე შეიხმა და წინასწარ-მეტყველმა უპასუხა დიდის იდუმალებით:

„არავინ იცის ვინა ვარ მე, და ვერც გაიგებს ამას. საიდუმლო საიდუმლოდ დაშთება. მტერნი შერცხვენილნი იქმნებიან. ღვთის დიდებისათვის მე გამოვცხადდები ყოველთვის, როდესაც კი უღვთოება შეიქმნება საშიშარი მართლ-მადიდებლობისათვის. ვინც მე შემომიდგება, იგი ცხონდება. ვინც არ შემომიდგება, იმის წინაამდეგ მივაქცევ მახვილს, რომელსაც-მომაწვდის წინასწარ-მეტყველი. მახვილით დავსჯი მე ულმერთოსა და მოვაქცევ უსჯულოსაო."

ამისთანა საუბრებით გადიბირა ქუბინი. ცოტა ხანში 96 კაცი შეიქმნა მისი მოწაფე. მათ შემწეობით შეიხ მანსური გაიდა ამადიიდამ დასამორჩილებლად მთელის მაჰმადიანობისა.

მცირე ჯარით (96 კაცი) მიადგა მანსური ერთ სოფელს, შეჰკრიბნა მცხოვრებნი და გამოუცხადა, რომ მე ვარ მოვლენილი ღვთისაგან მოციქულადაო და ამასთანავე ამცნო ხალხს უმთავრესნი მუხლნი თვისის სწავლისანი. ვინც ირწმუნა სწავლა მანსურისა, იგი იმავ-წამს ჩარიცხულ იქმნა ჯარის კაცად, ვინც არა, შეუნდობლად თავი წარეკვეთა. ამ ნაირადვე მოექცა მანსური რამდენსამე სხვა სოფლებსა და ქალაქების მცხოვრებლებსა. ამ ნაირ მოქმედებით იმდენი თანა-მოაზრე შეიძინა, რომ მცირეს დროს განმავლობაში ქალაქ ბითლისისკენ გაილაშქრა დიდის ჯარით და, თუმცა ქალაქსა იცავდა 20,000 კაცი, მაგრამ მაინც აილო, ოსმალეთის ჯარი გასწყვიტა და ქალაქი გაძარცვა.

ახალის წინასწარ-მეტყველის ამბავი მოედო მთელს ქურთისტანს და მისი სახელი შორს განითქვა. ნამდვილმა და გაზვიადებულმა მოთხრობებმა მანსურზედ ისრეთი ზარი დასცა ხალხს, რომ დაშინებული მცხოვრებნი სხვა-და-სხვა ქალაქებისანი ნებით კარს უღებდნენ და იწვევდნენ მანსურს. მხოლოდ ახალ-ციხეს სდომებია წინააღმდეგობა, მაგრამ იგიც ივერიშით აუღია და გადუწვავს. ამისთანა ვაჟ-კაცობის გამო აღტაცებულს ჯარს წინასწარ-მეტყველისათვის უწოდებია მანსური (ძლევა-მოსილი).

ახალ-ციხის აღებით უფრო განთქმულა სახელი და დიდება მანსურისა. მთიდგან და ყოველის მხრიდგან მრავალს ხალხს დაუწყვია დენა მის ჯარში ჩასაწერად. შეჰკრებია მანსურს 40,000 კაცი და ამ ძალით მიქცეულა იგი არზერუმისაკენ და შეუბრძოლებლად დაუპყრია ეს ქალაქი.

ოტტინოს ცნობებიდამ სჩანს, ვითომ მანსურს აუღია ყარსიც, დაუმარცხებია ქართველთ და რუსთ ლაშქარი მტკვრის პირზედ და ვითომ აუღია თვით ქალაქი ტფილისი.

ამისთანა ძლევა-მოსილობას შეეძლო განემხნევებინა მანსური, რომელიც ეხლა ჰფიქრობდა, რომ თვითონ მოეყვანა აღსრულებაში პოტემკინისთვის წარდგენილი პლანი სტამბოლის აღების თაობაზედ. ამ დროს ასრე სწერდა თურმე მანსური მამას თავის ამბავსა: „თუ ღმერთი შემეწევა, ვნახავ სტამბოლის დაქცევასა და შემდეგ რომის პაპის ტახტიდგან ჩამოგდებასა, რადგან რომის პაპაც, სტამბოლის მუფტიც და მექქის შერიფიც ერთ-გვარნი უვიცნი, მატყუარანი, ბრმანი წინამძღოლნი არიან ბრმათაო. მოვა დრო, დაინგრევიან ყველა ბაბილონნიო". მაგრამ მანსურს ვერ უნახავს ვერც ერთი ბაბილონის დამხობა, რადგან რაღაც მიზეზების გამო დაუტოვებია მცირე აზია, კავკასიაში გადმოსულა და ამ ქვეყნის მწვერვალებზედ, სახელდობრ საღეკოში, დაუწყვია თავისი მოღვაწეობა. საიდგან, როგორ, რა მიზეზით გადმოვიდა იგი მთაში—ისტორიამ არ იცის. თვით რუსეთის მწერლობაც ამ საგნის თაობაზედ სდუმებს და დაბეჯითებით არას ამბობს.

(შემდეგი იქნება)

ტერ-აფიცერი ამ დროს თურმე მოვიდა. სალდათმა დაიწყო ყვირილი: მიშველე, ძმაო, მკლავენო. მთვრალს უნტერ-აფიცერს, რომელიც სხვაფრივაც გაუხელებია სალდათის სხვა გვარს ლაპარაკსაც, დაუკრავს ხმალი გელაძისათვის და ჩაუჩეხია მხარი. გამოქცეულს გელაძეს დასწევიან კიდევ და თავში შემოუკრავთ ხმალი ისე, რომ კეფა თურმე ჰქონდა ათლილი. მერე კიდევ გულში დიდი ქვა უთხლეშნიათ და ხმალი შემოუკრავთ თავში ხელმეორედ და თავის ქალა აუგდებინებიათ. ქამარი შემოუხსნიათ, ფული ამოუცლიათ ცოცხალ-მკვდრისათვის და წასულან. აზრო ჩავარდნილა რალაც ხრამში და იქ მომკვდარა, რამდენისამე საჟენის მანძილზედ თავის სახლიდამ. მეორე დღეს დახლიდარსა და მერე კიდევ მოხუცს ჶელდ-ჶებელს უამბნიათ ესე ყოველივე.

ჩვენ ასე გვიამბეს ეს ამბავი და რამდენად მართალია-კი არ ვიცით სხვა მიზეზსაც ამბობენ მკვლელობისასა, მაგრამ ნამდვილად როგორ ყოფილა, ამას გამოძიება და სამართალი გამოაჩენს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არ მოვა მოსავალი ვაია და მოვა კიდევ მაინც ჩივილი და დრტვინვა ისმის. ჭირნახული ბლომად მოვიდა, მაგრამ გასავალი არა აქვსო; ისეთს ფასს იძლევიან, რომ ლამის ხარჯიც ვერ ავაუენოთო.

ქალაქ რიგაში, ამბობს „Москов. Вѣдомости“-ს კორრესპონდენტი, ძალიან ცოტაა ეხლა გასასყიდი პური, მაგრამ მაინც ფასი სულ არა აქვსო. უწინ ფუთი არჟანოვის პური 90—95 კაპ. იყო ხოლმეო და ეხლა-კი 72—78 კაპეიკია მხოლოდაო. მაგრამ აქედამ რომ მოტანის ხარჯსაც გამოხვიდეთ, გამოვა რომ ფუთს პურში მხოლოდ 40—46 კაპ. იძლევიანო. თუ პური შორიდამ არის მოტანილი, მაგალითად, ვორონეჟიდამ, მაშინ ესეც არ მოვაო.

როცა ჯერ რიგის ბაზარში პური ასე ცოტა შემოდის, ასეთი ფასია, რაღა იქმნება მაშინ, როცა ახალი პური მოვა და აივსება რიგის ბაზარიო.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ ახალი პური უთუოდ დიდ-ძალი შემოვა რიგის ბაზარში, რადგანაც ბევრგან ძალიან კარგი მოსავალია წელსაო. რომ არ გამოიტანონ გასასყიდად, არც ეს იქმნებაო. ყველა პურის პატრონსა და მომყვანს ძალიან უჭირს ფულიო, ათასი საჭიროება აქვს დასაკმაყოფილებელიო. უწინდელის მოუსავლობის გამო, ათასი გადასახადი დააწვა კისერზედ და დღეს ერთად არის შეკრებილი და უნდა გაისტუმროსო.

რასაკვირველია, განაგრძობს კორრესპონდენტი:—პატარა ხანს უკან გამოჩნდებიან მსურველნი პურისა, გამოჩნდებიან მყიდველნი და პურის ფასი აიწევსო, მაგრამ საქმე პირველ-ხანობაზეაო. პირველ ხანობაზე ისე დაიწევს და დაეცემა ფასი პურისა, რომ ძალიან დაზარალდებიან მამულის პატრონები და მხვნელ-მთესველნიო. ჯერ ეხლავე ფასი უფრო მცირეა, ვიდრე უწინ ყოფილა ამ დროსვეო და თუ კიდევა და კიდევ დაიწია, ეკონომიური და სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რომ პური არ იქმნას დაძრული თავის ალაგიდგან, ვიდრე არ შეიცვლება ესეთი საზარალო ვითარება საქმისაო. სახელმწიფოს შეეძლო მიშველებოდა პურის პატრონსა და მხვნელ-მთესველსა და პური უდრო-უდროვოდ არ გაეყიდვინებინაო. ამისათვის საჭირო იყო ფული მიეცა სესხად მსურველისათვის და ბეთა და გირაოდ პური აელოვო, ან საალებ-მიცემო კრედიტი დაეარსებინაო, რომ გაჭირებულს პურის პატრონს ხელი მოენაცვლებინა, ვიდრე ფასს მოიმატებდა პურიო.

ასეთია გაჭირვებული ყოფა პურის მომყვანისა და მწარმოებელისა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც. მოსავალსა ჰხედავს კაცი, უხარიან, რომ აი ახლა-კი ღმერთი მიშველის, წელში გავსწორდები, ოჯახს ფეხზე წამოვაყენებო. მას შემდეგ, რაც ზედი-ზედმა მოუსავლობამ, სეტყვამ, გოლვამ, ქარმა, კალიამ და სხვა ურიცხვმა მტერმა და მოულოდნელმა ფათერაკმა მიწასთან გამასწორაო და ის კი არა თუ,—სხვა დაბრკოლება ჩნდება კიდევ, სხვა ხარიხა გეღობება წინ. ეს ის დაბრკოლებაა, ეს ის ხარიხაა, რომელსაც ეკონომიურს მეცნიერებაში ჰქვიან კანონი ალებ-მიცემობისა. რაც საქონელი ბევრია ბაზარში და ცოტა მუშტარი ჰყავს, იმას ფასი აკლდება, რაც ცოტა ამღებია ბაზარში და ბევრი გამცემი, მით ფასი ნაკლებია, ანუ უკედ ვსთქვათ, რაც ბევრი საქონელია და ცოტა მუშტარი, მით ფასი უფრო ნაკლებია. ამ კანონს ვერავინ ვერსად ვერ წასვლია.

⁂

რახან ამ კანონზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ისეთს კანონზედ, რომელსაც კაცი და მეტადრე კერძო კაცი ვერ გაუმკლავდება თავის კერძო ღონითა, იმისთანა კანონზედაც უნდა ვსთქვათ რამე, რომელიც კაცზედ არის დამოკიდებული.

სასამართლოს წინაშეო, ამბობს „Современныя Извѣстія“-ს კორრესპონდენტი: წარსდგა ვილაც ჯარის კაცი კოზმა იაკოვლევიო. როცა წაიკითხეს ამის Curriculum vitae ანუ „მისი ცხოვრებისა და მოქალაქობის“ აღწერა, აღმოჩნდა, რომ ეს კოზმა იაკოვლევი რამდენჯერმე გაქცეულა ჯარიდამ და ამისათვის ბევრჯელ დასჯილა.

ერთხელაო, სთქვა თურმე იაკოვლევმა:—ვიჯექი დუქანშიო და იქა ვნახე ვილაც მოგზაური, რომელიც იჯდა და სვამდა არაყსაო. რამდენ ჭიქასაც აილებდა დასალევად, დაიჯვარედინებდა ხელებს გულზე და იტყოდა ლოცვასაო: «სახელითა მეფისათა და ძისა მისისათა და მისისავე სულისა წმინდისათა, ამინო». ამ კაცის სახე ღრმად ჩამრჩა ხსოვნაშიო. სადაც უნდა წავსულვიყავი, გონებიდამ არა მშორდებოდა ეს მოგზაურიო.

ბოლოს იაკოვლევს უნახავს სიზმარი. გამოსცხადებია ვითომ სული-წმინდა და უთქვამს, რომ რაც კი რამ ლოცვა გაიგონე იმ მოგზაურისაგან, ყოველივე ღრმა და ნამდვილი ჭეშმარიტებააო. მას შემდეგ დავიფიცე და აღარ ვლალატობ იმ სარწმუნოებას, რომელიც სულმა წმინდამ გამომიცხადაო. იაკოვლევის სარწმუნოება არის შემდეგი: იგი აღიარებს თურმე უმაღლეს არსებას—ღმერთს და უარ-ჰყოფს ყოველსავე გარეგანს ნიშანს ჩვენის მღვთის მსახურებისას, უარ-ჰყოფს ხატებს, თვით ეკლესიას, როგორც სახლს ლოცვისასა, უარ-ჰყოფს თვით შვიდთა საიდუმლოთაცა.

სასამართლოში, ამბობს შემდეგ კორრესპონდენტი:—თავს-მჯდომარემ ჰკითხა ბრალდებულს:

— რა სარწმუნოებისა ხარო?

— მართლ-მადიდებელისა, მაგრამ არა თქვენისაო, უპასუხა თურმე უცნაურმა ბრალდებულმა.

— რას იტყვით თქვენს დასაცველად თქვენის გამამტყუნებელის, პროკურორის წინაალმდეგაო? ჰკითხეს კვალად.

— რა უნდა ვსთქვა პროკურორის წინაალმდეგ, პროკურორი კანონით ვალდებულია გამამტყუნოს და აგერ მამტყუვნებს და ბრალსა მდებს კიდეცაო.

ეს უცნაური ბრალდებული ნაფიც მსაჯულთ დამნაშავეთ უცვნიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ყოველივე ღირსება ჩამოერთვას და ამიერ-კავკასიაში გაიგზავნოსო.

გაზ. „Новости“ ძალიან ჰკვირობს და ამბობს, ეს განაჩენი რა დასადგენი იყოვო. ამიერ კავკასიაში რომ ჰგზავნიდნენ ამ ახირებულს სულით ავად-მყოფსაო, ვითომ რა განზრახვა ჰქონდათ, რომ იქ კარგი ჰავაა და სულით ავადმყოფს მოარჩენს, თუ რა არიო?! ეს საცოდავი სულელი, ჩვენის აზრით, მხოლოდ იმის ღირსი იყო, რომ აეყვანათ და სულით სნეულთა სამკურნალოში მიეცათო.

⁂

დუქნისა და არყისაგან ბევრი რამ წარმოსდგება: სჯულის გამოცვლაცა, გაღარიბებაცა და გასულელებაცა. უცნაურს სიზმარსაც ბევრსა ჰნახავს კაცი, თუ არაყსა და დუქანს აჰყვა. ერთი პეტერბურგელი ნემეცური გაზეთი, მართალია, არაყს არ ასდევს, მაგრამ უცნაური იაკოვლევური სიზმარი კი უნახავს მაინც.

მიწისა და საკომლოების (ნადელები) სიცოტავეს რომ ლაპარაკობენო რუსეთის გლეხებისასაო, ამბობს თურმე ეს გაზეთი, ეგ მიზეზი არაფერს შუაშია ხალხის სიღარიბესა და სილატაკეშიო. სიღარიბე და სილატაკე მიწისა და საკომლოს სიცოტავისაგან კი არ წარმოსდგება, არყით ლოთობის შედეგიო. ერთს სოფელში ორი დუქანი გახსნეს იანვარში და ამ ორმა დუქანმა გაჰყიდა 1 ივნისამდე 1,116 ვედროვო, სულ 1,157 მანათისა თთვეშიო, ხოლო ამ ანგარიშით რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ წელიწადში სოფელს მოუნდება 13,900 მანათისაო.

მართალია, ყველა გულ-წრფელი მოყვარე რუსეთის ხალხისა წინაალმდეგი იყო ამ საშინელის საერო სენისა, ჰაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სტატისტიკურმა ცნობებმა ცხადად დაამტკიცა შემდეგი: რუსეთის ერის რაოდენობა რომ აიღოთ, გამოვა, რომ ორთა შუა რიცხვით თითოეული რუსი ჰხარჯავს სხვა-და სხვა სასმელს ყოველ-წლივ არა თუ მეტს, არამედ უფრო ნაკლებსაცა, ვიდრე, მაგალითად, ჰხარჯავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, შვეიცარიაში, ჰოლლანდიაში და გერმანიაში. სიზმარის მნახველს ნემეცურს გაზეთს ისიც დავიწყებია, რომ იმ სოფელს, რომელიც მაგალითად ჰოჰყავს, სხვა ბევრი სოფელი აკრავს თურმე გარეშემო და ყველა ეს სოფლები იმ დუქნების მუშტარი გახდაო.

თუ ეს სიზმარი ნემეცურის გაზეთისა, მართლა სიზმარი არ არისო, ამბობს გაზ. „Новое Время:“—მაშ რას იტყვის შემდეგს ციფრებზე, რომელიც სტატისტიკამ გამოიკვლია საკომლოებისა და მიწების სიცოტავეზეო. ავიღოთ ხუთი კარგის მოსავალითა და ღონიერის მიწით ნაქები გუბერნია და ვნახოთ, რაოდენი საკომლო აქვს გლეხს ორთა-შუა-რიცხვითაო.

პოლტავის გუბერნიაში საკომლო არის 1,9 დესეტინაო, კურსკისაში—2,3 პოდოლიისაში—2,4 კიევისაში 2,5 და ხარკოვისაში 2,5. ყველაზედ დიდი საკომლო ხარკოვის გუბერნიაში და კიევისაში არის, ე. ი. სულ ხუთი დღიურიო.

დიდება შენს განგებასა, უფალო! რამდენია მართლა მწერალი და პუბლიცისტი, რომ რასაც მხოლოდ სიზმარში ჰნახავს, იმასა სწერს და ქვეყნისათვის ეს თავისი ნაწერი მიაჩნია უებარ წამლადა. ნუ თუ ისიც სიზმარი არ არის, რომ „Новое Время“ ასეთის გატაცებით ესარჩლება რუსეთის გლეხს? უთუოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ამ გაზეთს მეტოქედ ნემენცი ჰყავს და „Новое Время“ ს ხომ ნემენცი და ურია ჭირივით ეჯავრება.

რუსეთი

გაზ. „Моск. Вѣд“-ი ამბობს, რომ უწმ. სინოდთან დაარსებული სასკოლო კომიტეტი იმაზე ზრუნავს, რომ სამღვდელოებას შეეძლოს უფრო მტკიცე ზედ-მოქმედება იქონიოს საერო განათლებაზედაო და ამისათვის შეუდგენია რამდენიმე პროგრამა სამღვთო წერილის სწავლებისათვის სამრევლო სკოლებში სახელმძღვანელოდაო. ამ პროგრამებს მალე დაუგზავნიან ეპარქიებსაო.

გაზ. „Минута“ ამბობს, რომ გვგონებთ, უმაღლესი სქალებო კურსები სამუდამოდ დაიკეტნენ და ხელ-მეორედ მათს გახსნას ვეღარ მოვესწრობითო. ამბობენ, რომ მათ მაგიერ მოსკოვში დაარსდება სქალებო უნივერსიტეტი ქალის ფიშერის სქალებო კლასიკურ გიმნაზიასთანაო და ლექციების მოსმენის ფასი იქნება 900 მან. ამისთანა უნივერსიტეტი გინდა გამართულა, გინდა არაო; 900 მან. ვერავინ შეიტანს წელიწადში სწავლის ფასად, მდიდრების გარდაო.

უცხოეთი

(მოწერილი ამბავი)

პარიჟი, მკათათვის 17. დიდი არაფერი აღელვება მოუხდენია რა საფრანგეთში პრინცების გაძევებას. მარტო მონარქიელი დეპუტატ-სენატორები და გაზეთები გაცხარა ამ გადაწყვეტილებამ. იმათ გაცხარებასა და გაბრაზებას საზღვარი არა ჰქონდა. რას არ აბრალებენ ისინი მთავრობას! განახლდა ჟაკობინების ხელმწიფობაო, ცივილიზაცია განსაცდელშიაო, თავისუფლება ითრგუნებაო და ანარქიის მფლობელობაში შევდივართო. ხმა-მაღლა დაიწყეს ყვირილი, რომ ეხლა კი დროა ძალა ვიხმაროთ და რესპუბლიკა დავამხოთო.

ამას იძახიან ყველა ჯურის მონარქიელები: ორლეანელები, ჟერომელები და ვიქტორიანები. ამ სამს ერთი-ერთმანერთთან მოუთავსებელს დასს რესპუბლიკასთან გაცხარებულს ბრძოლაში არ აგონდება, რომ როცა მონარქიის დაარსებაზე მიდგება საქმე, რესპუბლიკის გარდა, ერთმანერთსაც უნდა ებრძოლონ. თუმცა ეს ასეა, ისინი მაინც საკვირლად მტკიცედ არიან შეერთებულნი ამ ხანად. ვიქტორიანების გამოჩენილმა დეპუტატმა დე-კასანიაკმა ერთხელ თურმე უთხრა გრაფ პარიჟელსა რომ, როცა კი რესპუბლიკის დამხობაზე იქნება საქმე, ჩემს სამსახურის იმედი გქონდესო.

შეიძლება იფიქრონ, რომ გაზეთები თუ აღელვებულან, ალბად ერის რაოდენიმე ნაწილი აღელვებული იქნებოდაო და დეპუტატებიც ხომ ხალხის წარმომადგენლები არიანო, ეს ასეა, მაგრამ გაზეთებისა და დეპუტატების საქციელი აქ ზომად არ მიიღება, რადგან იშვიათია ისეთი მონარქიელი გაზეთი, რომელსაც სუბსიდია არ ეძლეოდეს რომლისამე პრინცისა ან კომიტეტისაგან. დეპუტატებიც იმავე მონარქიელების ფულებისა და გავლენის შემწეობით არიან ამორჩეულები. თუ ხალხს გაძევების წინაალმდეგობა უნდოდა, იმას ეს შეეძლო მიტინგების საშუალებით, მაგრამ ერთი მიტინგიც არ მომხდარა ამ განზრახვით.

სწორედ პრინცების გაძევებისა ერთის კვირის შემდეგ ლეგიტიმისტებმაც თავის მხრით ხმა ამოიღეს ყველა ტახტის მაძიებლების წინაალმდეგ და განაცხადეს, რომ საფრანგეთის ტახტი მარტო ბურბონის გვარის პირ-და-პირს შტოს, პრინც დ'ანჟუსს ეკუთვნისო. ესეც მეოთხე მაძიებელი, რომელსაც, მართალია, ცოტა მომხრეები ჰყავს, მაგრამ უფლება, მეტი თუ არა, სხვაზედ ნაკლები ხომ არა აქვს.

შესამჩნევი ის არის, რომ ამ პრინცების საქმეში ყველაზედ მეტი ძალა გრაფ პარიჟელსა აქვს. მანიფესტიც იმან გამოსცა და ყველაზედ მეტადაც იმაზე ლაპარაკობენ. ეს იმის ბრალია, რომ გრაფი პარიჟელი ყველა სხვა ტახტის მაძიებელზე მდიდარია და ამიტომაც ბევრი მომხრეები ჰყავს დეპუტატებსა და გაზეთებს შორის. ის ისე თავ-გამოდებულია, რომ ჟერომს და ვიქტორს სრულიად ივიწყებს და ასე ამბობს თავის მანიფესტში: თქვენ მე გამაძევეთ, მაშასადამე მომავალს მეფედაც მე დამსახეთო. ამ სიტყვებზე ბონაპარტიელებმა ასე გადაჰკრეს სიტყვა: შე დალოცვილო, მარტო შენ ხომ არ გაუძევებიხართო.

გაძევებულის პრინცების გზას გაუდგა ამ დღეებში ჰერცოგი ომალისა (დუკ დ'ომალი), ორლეანის გვარის პრინცი. ეს პრინცი 80 წლის კაცია, სამსახურიდამ გადამდგარი გენერალი. ფრეისინეს პატივის-ცემა ჰქონია ამ მოხუცებულის ჰერცოგისა და ამიტომ არ უნდოდა თურმე, რომ ყველა პრინცების გაძევება სავალდებულოდ გადაწყვეტილიყო. ჰერცოგი მოხუცებულია და რესპუბლიკის წეს-წყობილების პატივის-მცემელიაო, ამბობდა თურმე მთავარ-მინისტრი. იმ ხანად ჰერცოგი გაუძევებელი დარჩა, მაგრამ ამ დღეებში მთავრობამ ისიც საზღვარს იქით გაისტუმრა. აი რისთვის: სამხედრო მინისტრმა პარლამენტის გადაწყვეტილებისამებრ ყველა პრინცებს ჩამოართვა ის სამხედრო ხარისხი, რომელიც მათ ჰქონდათ. ომალის ჰერცოგიც გენერლების სიიდგან ამოშალა. ეს ჰერცოგს არ იამა და წინაალმდეგობის წერილი გაუგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს, სადაც უარს ჰყოფდა მინისტრის გადაწყვეტილებას და კარგად ამკობდა მთავრობას. ეს წერილი იყო იმის გაძევების მიზეზი.

ხალხში პრინცების გაძევების წინაალმდეგ მარტო ის მოსაზრება ისმის, რომ მუშაობა და ვაჭრობა ამით საკმაოდ იზარალებსო. ვიდრე პრინცები აქ იყვნენ, დიდი ფული ტრიალებდა მათ საჭიროებისათვის და მაშასადამე მუშაობას და ვაჭრობას სარგებლობა ჰქონდაო. მათ კიდევ უცხო ქვეყნების სამეფო კაცნი მოსდიოდნენ სტუმრებად და ესეც სასარგებლო იყოვო. ამ ნაირი საბუთი იმპერიის გამოც მოჰყავთ.

ეს საბუთი იმ გვარია, რომ რესპუბლიკელებსაც აფიქრებს და აიძულებს მუშაობის და ვაჭრობის წამახალისებელი

ბიბლიოთეკა

რამ საშუალება ექმნონ. მთავრობამა და ქალაქმა პარიჟმა ერთად გადასწყვიტეს საქალაქო რკინის გზა გააკეთონ. ეს საქმე კარგა ძალს მუშა ხალხს მისცემს სამუშაოს და ვაჭრობასაც გააცხოველებსო. ამ ნაირივე დანიშნულება აქვს იმ გამოფენას, რომლის გამართვასაც სამის წლის შემდეგ აპირებენ ასეთის დიდის ამბითა. გამოფენის პროექტი მეტის-მეტად საინტერესოა, მაგრამ ეხლა იმაზე ლაპარაკის დრო არ არის, რადგან ბევრ ალაგს მოითხოვს. (დასავლური ხმა)

* * *

(გაზეთებიდამ ამოკრებილი)

საბერძნეთი. ბერლინის გაზეთები ამბობენ, რომ ამას წინად საბერძნეთის მთავრობამ შეუკვეთა აქ 30,000 მუნდირიო. ამაზე კიდევ წინად 80 000 მუნდირი შეუკვეთია აქ იმავე მთავრობამაო. სერბიასაც დიდძალი ნივთები შეუკვეთნია ბერლინის მეფაბრიკეთათვის სამხედრო ტანთ საცმელისა და აღკაზმვა-დარაზმულობისაო.

* * *

ბოლგარია. 3 ივლისის სახრო კრებას ბოლგარიისას დაუდგენია, რომ 10 მილიონი ფრანკი ვისესხოთო, 10 მილიონი კიდევ გადაიდოს, რათა მიეცეს იმათ, ვინც ომისათვის რაიმე ხარჯი გასწია და ჯარს საჭირო სურსათი აძლევდა წარსულ ომის დროსაო. ამას გარდა კრებამ ნება მისცა მთავრობას, რომ მოსჭრას 30 მილიონი ფრანკის ქაღალდის ფული რკინის გზების გასაკეთებლადა, გადასდოს კიდევ 36 მილიონი, თუ ვინიცობაა სამხედრო სამინისტროს დასჭირდეს ქვეყნის დაცვისათვის საომარ იარაღისა და ნივთების სახყიდლადაო. ეს დადგინება იყო მიზეზი, რომ ცანკოვის დასი და საზოგადოდ მთავრობის წინააღმდეგნი წამოდგნენ, დაანებეს თავი დარბაზს და კრებიდამ გამოვიდნენ.

— კარაველოვმა და სტამბოლოვმა სცადეს რუსეთს შერიგებოდნენ, მაგრამ რუსეთმა არ მოინდომაო, ამბობს „Новое время“, თუმცა კი ამ გაზეთს ამასთანა ამბები ძნელად დაეჯერება.

* * *

ოსმალეთი. ეხლა ყველა უშიშრად ლაპარაკობს ოსმალეთში და სტამბოლში იმაზე თუ სტამბოლი, ბოსფორი და დარდანელი ვის უფრო, იმედია, რომ დარჩებაო. ინგლისსაც უნდა დაინარჩუნოსო, რუსეთსაცა, ავსტრიასაც, გერმანიასაცაო. ავსტრია და გერმანია ეხლა იმას ამბობენ, რომ მაგ საქმეში დიდი ინტერესები აქვს ინგლისსა და რუსეთსაო და უმათოთ, ეგ საქმე ვერ გადაწყდებაო, მაგრამ ამასთანავე ყველას თავისი პლანი აქვს, როგორ მოეპყრან სტამბოლსაო. მაგალითად ინგლისს უნდა, რომ ბოლგარიის მთავარს მიეცეს სტამბოლი, მთავარი კოროლად გამოცხადდესო, თვით სატახტო ქალაქი მისი პორტო-ფრანკოდ გარდაიქცესო, დარდანელი სულ მუდამ ინგლისსა ჰქონდეს საკუთრად და ბოსფორი-კი დროებითაო.

* * *

გასართობი

მიცვალებულთა დამარხვის წესი ინდოეთში. ამას წინედ ინდოეთში გარდაიცვალა იჟაური თავადი, რომელიც დიდად მიჩნეული იყო თავის ქვეყანაში. ბრიტანიის მთავრობამ ინდორიის მეფედ დანიშნა 1843 წ., მაგრამ ის მხოლოდ 1852 წელს ავიდა სამეფო ტახტზედ, როდესაც სრულ-წლოვანი შეიქმნა. ტუკაჯი-რაო-გოლკარ, სახელია თავადისა, დიდის საქმის ცოდნით და ხერხითა ჰმართავდა თავის სამეფოს. „Daily Telegraph“-ის სიტყვით, ტუკაჯი დიდი ხანია დარწმუნებული იყო, რომ ინგლისს ბირმანიაზედ თვალი უჭირავსო და ერთხელ ლორდს დეფერინს უთხრა: „ვიცი რომ განზრახვა გაქვსთ ბირმანიის შემოერთებისაო, მაგრამ დაგარწმუნებთ, რომ იმ სარგებლობას ვერა ნახავთ მის შემოერთებით, რომელსაც თქვენ მოელითო. ლორდი დეფერინი შეჰკრთა და წყნარად უპასუხა: „ყველა განძსა და სიმდიდრეს, თქვენი მეგობრობა და სიყვარული უფრო ძვირად გვიღირს, თქვენო დიდებულებავო“. მაგარაჯის დასაფლავება ათს დღეს გასტანს. ინდოელებს სწამთ, რომ კაცის სული მხოლოდ მეთერთმეტე დღესა ჰშორდება გარდაცვალებულს და ათი დღე კი ზედ დასტრიალებსო. შავ ქვას, რომელსაც წმინდა ხის ქვეშა სდებენ და ჰგონიათ მიცვალებულის სული ქვაში ჩადისო, მხოლოდ მეთერთმეტე დღეს გადააგდებენ ხოლმე წყალში. შემდეგ დაიწყება მიცვალებულის სულის განწმენდა. ქურუმები და მიცვალებულის ნათესავები აქედ-იქით ბრინჯს აპნევენ და ჰგონიათ, რომ თუ ეს ბრინჯი ერთიანად ყვავებმა აკენკესო, მაგარაჯის სული უეჭველად „ნეტართა შორის დაისადგურებსო“.

ამერიკის პრეზიდენტის კლეველანდის დას — როზა კლეველანდს თავის „თეთრის სასახლის“ მოვლა და ყურის გდება თავის ახალის რძლისთვის მიუჩემებია და თითონ დაჰბრუნებია თავის საყვარელს საქმეს. ჩიკაგოში მიდის და რედაქტორად უნდა იყოს ჟურნალ „Literary Life“-ისა, რომელთ გამომცემლებთან უკვე პირობა შეუკრავსო.

ქალები გალიებში. ამერიკის კონსულს სიდნეიდამ ბ-ნს გრიფფონს შემდეგი ქალებისთვის ფრიად არა-სასიამოვნო ამბავი მოუწერია ვაშინგტონში. ამ მოხსენებაში დიდს ოკეანეს ახლო ახალ-ბრიტანიის კუნძულთა მცხოვრებლების ზნე-ჩვეულებაზე სწერს. ამ კუნძულელებს, მისის სიტყვით, ჩვეულებადა აქვსთ, რომ თავიანთი ქალები გათხოვებამდე გალიებში ჰყვანდეთო. გალიებს ბზის ხისაგან აკეთებენ და ოთახში სდგამენო. როგორც წამოეზდებათ ქალი სამის წლისა, გალიებში ამწყვდევენ და მხოლოდ დღეში ერთხელ უშვებენ გარეთაო. იმ სახლებს, რომელთშიაც ქალები სცხოვრებენ, გარშემო დიდი გალავანი არტყიაო. გრიფფონი ამბობს თურმე თავის მოხსენებაში, რომ ამ კუნძულის ქალები, თუმცა ასე ჩაკეტილნი არიან და ისე ცხოვრებენ და წმინდა ჰაერზედ იშვიათად გამოდიან, მაინც კარგი თვალადნი და ტანადნი არიანო.

* * *

დეპეშა

14 ივლისს

პეტერბურგი. განზრახვა აქვთ გარდაცვალებულს დრამატურგს ოსტროვსკის ძეგლი დაუდგან პეტერბურგში.

პოლტავა მყიდველი ბევრი მოვიდა; საქონელი ბევრია მოტანილი, მატყლი სრულიად არ არის; ცხენებიც ცოტა ამორეკილი, რამდენსამე ჯოგს კიდევ მოელიან. ვაჭრობა კარგად მიდის.

ლონდონი. მარკიზი სალისბერი დაბრუნდა დღეს ლონდონში და ახალის სამინისტროს შედგენას ჰკისრულობს. პარლამენტი 5 აგვისტოს (23 ივლისს) შეიკრიბება თავ-მჯდომარის (სპიკერი) ამოსარჩევად. კრება გასტანს ათს დღეს და შემდეგ პარლამენტის კრება ოქტომბრამდე გადიდება.

ნიში. სკუპშჩინამ არ შეიწყნარა ის არჩევანები, რომელიც საეჭვოდ მაიჩნდათ.

ლონდონი. სალისბერს ჰსურდა პირველი მინისტრობა გარტინგტონისთვის დაეთმო, მაგრამ გარტინგტონმა უარი განუცხადა სალისბერის და ამასთან უთხრა: ჩემი დასი მხარს მოგცემს მხოლოდ იმ პირობით, თუ ირლანდიის შესახებ არ ვითარი კანონპროექტი არ იქნება შემოტანილი პარლამენტშიო.

15 ივლისს

პეტერბურგი. გამოცხადებულია: აზრი სახელმწიფო რჩევისა თურქესტანის მართვის თაობაზედ, დებულება ამ ქვეყნის გამგეობისათვის, წესნი შემოღებისა სადგილ-მამულო და საბეგრო საქმეთა მოწყობისა და შტატნი: ქვეყნის გამგეობისანი, დროებითის სადგილ-მამულო და საბეგრო დაწესებულებისანი, და დროებითის კომისიისანი იმის განსამარტავად თუ ვის რა უფლება აქვს მიწის შესასყიდათ. მოხსენებულნი დებულებანი, წესნი და შტატნი შევლენ ძალაში 1887 წლის 1-ს იანვრიდამ. მკვიდრნი ამ ქვეყნისანი განთავისუფლებულნი არიან სამხედრო გარდასახადისაგან ამ ექვსის წლის განმავლობაში, ახალ განკარგულებამდე. ფოსტის ფული გადასდება სირდარიისა და სამარყანდის ოლქში: მომთაბარეს და ელის სახლსა 1 მან. და ხუთი შაური, მკვიდრსა — მეოთხედი ნაწილი იმ სახელმწიფო სადგილ-მამულო გადასახადის ფულიდამ, რომელიც ერგება ხაზინას მკვიდრთა საკუთარის უძრავის მამულებისაგან. ფერგნის ოლქში რჩება იგივე ხარჯი და ბეგარა იმ დრომდე, ვიდრე ხელ-მეორედ დაფასდება უძრავი მამულები; ქალაქებსა და დაბებში უწინვე დაწესებული სადგილ-მამულო გადასახადი დარჩეს, ვიდრე შემოღებულ იქმნება დებულება ხარჯისა უძრავ მასულებზედ ქალაქებში; იცვლება ზოგიერთა მუხლნი კანონებისა სასისხლო და სამოქალაქო სამართლისანი; ეჭვ-ქვეშ ყოფნა და გასაწმენდელი ფიცის მიცემა არ შეიწყნარება.

ამსტერდამი. კვირისა და ორშაბათს, იმის გამო რომ აღკრძალულ იქმნა საერო დღესასწაული, დიდი უწესოება მოხდა აქ: მეამბოხეთა გააკეთეს ბარიკადები და ჯარები იძულებულნი იყვნენ ესროლათ თოფ-იარაღი; არეულობის დროს ერთი კაცი მოკვდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

16 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ათინოგენისა, ათთა მოწაფეთა. კათოლ. წმ. ქალწ. მარიამ კარმელიისა. სპარსელების შემოსევა საქართველოში 1826 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—4. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22, მთვარე ამოდის 2—8, ჩადის 4—14.

17 დღე ხუთშაბათი. წმ. ქალწ. მოწ. მარინესი, ღირს. ლაზარისა. კათოლ. წმ. ალექსი ალმსაარებლისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—13. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21; მთვარე ამოდის 3—3, ჩადის 5—17.

18 დღე პარასკევი. მოწ. იაკინთესი და ღირს. მრავალ-წამებ. იოანესი. კათოლ. წმ. ალმსაარებელის სიმონ ლიპნიკელისა. ტფილისსა და მას ახლო-მახლო ჟამი მძვინვარებდა, რომელმაც მკათათვის თთვის განმავლობაში ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—11. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20; მთვარე ამოდის 4—6, ჩადის 6—13.

19 დღე შაბათი. ღირს. მაკრინესი და დიასი. კათოლ. წმ. ვინკენტისა პაულის ალმსაარ. სომეხ. ხსენება ძველის კიდობნისა, დღესასწაული ახლისა წმ. ეკკლესიისა. ნავაკატიკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—8. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19; მთვარე ამოდის 5—10, ჩადის 7—4. შობა მთვარისა 8 საათ. 26 წუთ.

20 დღე კვირა. წმ. ილია წინასწარ.-მეტყ. კათოლ. მე-7 კვირა სულთ-მოფენობის შემდეგ. წმ. ალმსაარ. ცესლავისა. სომეხ. ვარდავარი (ფერის-ცვალება უფლისა). მუსულ. 1 რიცხვი ზილ-კაადეს თთვისა 1303 ჰეჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—5. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18; მთვარე ამოდის 7—26, ჩადის 7—48.

21 დღე ორშაბათი. ღირს. სვიმეონ სალოსისა და წინ.-მეტყ. იეზეკიელ. კათოლ. წმ. ალმსაარ. გერონიმასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი (ხსენება მიცვალებულთა). ჭეშმარიტი შუა-დღე. 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7—16; მთვარე ამოდის 8—39, ჩადის 8—28.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ	5 კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სადამოთი სტამბოლამდმიდის.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24		

Дозволено цензурою Тифлисъ 15 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.